შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

2018 წლის 2 მარტის № 21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (კონსოლიდირებული ტენდერი **CON170000115**)

ქ. თბილისი 23 ივნისი 2020 წელი

ერთის მხრივ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი''), წარმოდგენილი მერი ანივარდ მოსოიანის სახით და მეორე მხრივ შპს ,,მაგთიკომი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ზურაბ ზარიძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და 2018 წლის 2 მარტის № 21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის და **სატენდერო დოკუმენტაციის 6.10 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად**, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **2018 წლის 2 მარტის № 21** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ხელშეკრულების მე–2 მუხლის 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 53 600 ლარი.

2. ა) ხელშეკრულების მე–4 მუხლის 4.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
მომსახურების გაწევა განხორციელდება 2018 წლის 2 მარტიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ან **სატენდერო დოკუმენტაციის 6.10 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად**

3. ხელშეკრულების მე–10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ხელშეკრულება **მოქმედებს** 2021 წლის 1 თებერვლამდე ან **სატენდერო დოკუმენტაციის 6.10 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად**

4. 2018 წლის 2 მარტის № 21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2018 წლის 2 მარტის № 21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

6. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შემსყიდველი ნინოწმინდის	შპს „მაგთიკომი''
მუნიციპალიტეტი მის: ქ. ნინოწმინდა,	ს/კ 204876606
პუშკინის ქ 43	ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი
ს/ს ,,ლიბერთი ბანკის'' ნინოწმინდის	ბანკის კოდი № UGEBGE22
ფილიალი	ა/ა GE73VT6600000000423607
ბანკის კოდი LBRTGE22	
ა/ნ GE51LB0120146252122000	
ს/კოდი 236689669	_____
Anivard Mosoyan Digitally signed by Anivard Mosoyan Date: 2020.06.23 13:02:01 +04'00'	გენერალური დირექტორის მოადგილე:
ა.მოსოიან	ზურაბ ზარიძე

ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული

ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი **19 ივნისი, 2020 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ზურაბ ძნელაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ეკატერინე მიქაბაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბუთხუზი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ირაკლი ლექვინაძე - სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი პატარიძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

2018 წლის 26 თებერვალს გამოცხადებული ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელება 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

განიხილეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ლევან რაზმაძემ, კომისიის წევრებს შეახსენა, რომ ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2017-2018 და 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადების შემდგომ,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას, აგრეთვე შპს „მაგთიკომს“, შპს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“ წარუდგინა წერილები, რომლის შესაბამისადაც კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო პირობები/ტარიფები იმგვარად უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული, რომ მათში მონაწილეობით სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს არ დაერღვიათ სატარიფო რეგულირების, დისკრიმინაციისა და სუბსიდირების აკრძალვის ვალდებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე მობილურმა ოპერატორებმა თავი შეიკავეს ტენდერში მონაწილეობისაგან.

საკითხის მოკვლევისა და სატენდერო პირობების ჩამოყალიბების მიზნით, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, შპს „მაგთიკომს“, შპს „სილქნეტს“ და შპს „ვიონი საქართველოს“ დაევალა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის 2018 წლის აუდირებული განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის წარდგენა, რის შემდეგაც კომუნიკაციების ეროვნული კომისია შეისწავლიდა 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) პირობებით მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდების სუბსიდირების საკითს.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს ასევე შეახსენა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 24 მარტის Nგ-20-08/1126 წერილის თანახმად, შპს „მაგთიკომმა“, შპს „სილქნეტმა“ და შპს „ვიონი საქართველომ“ კორონა ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და საგანგებო მდგომარეობის პირობებში ვერ მოახერხეს მოთხოვნილი ანგარიშის დროულად და სრულად წარდგენა, დამატებითი ინფორმაციის ჩათვლით, რის გამოც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებითა და „2018-2019 წლების განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის N225 განკარგულების მე-5 პუნქტის საფუძველზე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა გაგრძელდა 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, 2020 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, 2020 წლის 11 ივნისს მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას N1938 წერილით და სთხოვა რეკომენდაცია ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერი პირობების განსაზღვრის თაობაზე.

2020 წლის 17 ივნისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წარმოადგინა საპასუხო წერილი Nგ-20-08/1970, რომლითაც იგი განმარტავს, რომ კონსოლიდირებული ტენდერით დადგენილი პირობებით მობილური სატელეფონო მომსახურების მიწოდების სუბსიდირების საკითხის სრულყოფილად შესწავლა კვლავ არ არის დასრულებული, ვინაიდან ოპერატორებისგან გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციის დროულად მიღება და საფუძვლიანად შესწავლა ვერ მოხერხდა, კვლავ კორონა ვირუსთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გასცემს რეკომენდაციას ფიჭური სატელეფონო მომსახურების ვადის გაგრძელების თაობაზე, არსებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, **2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

მობილური სატელეფონო კავშირის უწყვეტობის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინებით, სატენდერო კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, ფიჭური სატელეფონო მომსახურების მიწოდება კვლავ გაგრძელდეს 2018-2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, მიმდინარე შესყიდვის ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გაგრძელების გზით, **2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან და ფიჭური სატელეფონო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობიდან გამომდინარე, აგრეთვე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 17 ივნისის Nგ-20-08/1970 წერილით გაცემული რეკომენდაციისა და „2018-2019 წლების განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის N225 განკარგულების მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000115) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადა გაგრძელდეს **2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებსა და გამარჯვებულ მიმწოდებლებს შორის მოქმედ შესყიდვის ხელშეკრულებებში ვადის გაგრძელების გზით.**

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.